N 165 28/10/2015

ოქმი #27
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

2015 წელი, 28
ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
11.00 – 14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კვერღელიძე,
ე. გორდელაძე, ლ. საჯაია, დ. ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, ტ. არუშიძე, გ. კილაძე, ბ. ღლონტი, ვლ. ვადაჭკორია, თ. ბურჭულაძე, ა. გოგოძე.
საზოგადოებრივი დარბაზის წევრები: ი. პაპავა, ლ. ხინთიბიძე, კ. ცერცვაძე.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხს: დ. დარჩია
თანამომხს: გ. მამაკაიშვილი

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2

აგვისტოს №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია

თანამომხს: ე. გორდელაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარების) მრავალბინიანი სახლების, სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია

თანამომხს: ა. ყაზაიშვილი

4. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია

თანამომხს: ა. ყაზაიშვილი

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია

თანამომხს: ტ. არუშიძე

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია

თანამომხს: დ. ჭაკნელიძე

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

მომხს: დ. დარჩია

თანამომხს: ა. ყაზაიშვილი

ბიუროს წევრებმა განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები სხდომაზე ცვლილებების გათვალისწინების შემდეგ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო